საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია

მსაჯთა კომიტეტი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ზოგადი დებულება

მსაჯთა კომიტეტი, შემდგომში **მ.კ,** არის საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის წესდების 16.2 პუნქტის შესაბამისად შექმნილი მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ფედერაციის წესდებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2. კომიტეტის სტატუსი

2.1. მ.კ.-ს შემადგენლობას და რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის გამგეობა.

2.2. მ.კ-ს ხელმძღვანელის და წევრების კანდიდატურებს გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ფედერაციის პრეზიდენტი (წესდების 9.1 და11.20 პუნქტი).

2.3. მ.კ-ს სხდომები ტარდება არანაკლებ 2 კვარტალში ერთხელ, ძირითადად საჭიროებისამებრ.

2.4. კომიტეტი თავისი საქმიანობის შესაბამისად შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, (პროგრამას), ამზადებს რეკომენდაციებს- რომლებსაც დასამტკიცებლად წარუდგენს ფედერაციის გამგეობას.

2.5. მ.კ ფედერაციის გამგეობას აბარებს კვარტალურ და წლიურ ანგარიშს.

2.6. მ.კ.-ს წევრები შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ ფედერაციის წევრები;

3. კომიტეტის მიზანი

3.1. ხელი შეუწყოს საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნულ ფედერაციას თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში;

3.2. ტურნირის სამსაჯო პროცესის დახვეწა და ერთიანი სტანდარტების შემუშავება;

3.3. ეროვნული ფედერაციისათვის და სამსაჯო კორპუსისათვის რეკომენდაციების გაწევა: სამსაჯო პროცესის, საშეჯიბრო პროცესის და წესების დაცვასთან დაკავშირებით.

3.4 ეროვნულ ფედერაციისათვის - რეკომენდაციის გაწევა მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

3.5 რეკომენდაციის მომზადება - საშეჯიბრო პროცესის სრულყოფილად ჩატარების მიზნით;

3.6 ფედერაციისათვის WA-ის ახალი წესებისა და ცვლილებების გაცნობა;

4. კომიტეტის უფლება-მოვალეობები

4.1. კალენდარული გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოს ჩასატარებელი ტურნირის დებულებისა მომზადება და წარდგენა.

4.2. კალენდარული გეგმის შესაბამისად, ჩასატარებელი ტურნირისათვის განსაზღვროს მთავარი მსაჯი და მსაჯთა კოლექტივი.

4.3. აქტიურად იყოს ჩართული ფედერაციის კალენდრის შემუშავებაში;

4.4. აქტიურად იყოს ჩართული მსაჯთა გადამზადების პროცესში.

4.5 მ.კ ვალდებულია:

4.5.1. სრულად აღრიცხოს და აკონტროლოს ფედერაციის მიერ აღიარებული მსაჯების რეესტრი;

4.5.2. დააყენოს შუამდგომლობა მსაჯთა გადამზადებაზე საერთაშორისო და ადგილობრივ კურსებზე;

4.5.3. პერიოდულად უზრუნველყოს ადგილობრივი სემინარების ჩატარება;

„ვამტკიცებ“

საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული

ფედერაციის პრეზიდენტი

თარიღი: 05.03.2023